



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 140

2013 წლის 10 ოქტომბერი
ქალაქი ხაშური

ქალაქ ხაშურში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის დასაწყისში
ორსართულიანი სახლის ეზოს დამცავი ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოების
გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 11 მარტს (სატენდერო განცხადება (SPA130005873) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი „ქალაქ ხაშურში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის დასაწყისში ორსართულიანი სახლის ეზოს დამცავი ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე“, რომელსაც 2013 წლის 2 აპრილს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. 2013 წლის 14 აგვისტოს განმეორებით გამოცხადდა (სატენდერო განცხადება (SPA130017810) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი „დამცავი ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე“, რომელსაც 2013 წლის 5 სექტემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ქალაქ ხაშურში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის დასაწყისში ორსართულიანი სახლის ეზოს დამცავი ბეტონის კედლის მოწყობა კი, მკაცრი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 8 ოქტომბრის N3407 მოხსენებითი ბარათის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის N52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ქალაქ ხაშურში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის დასაწყისში ორსართულიანი სახლის ეზოს დამცავი ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად;
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

